მსახიობი ალ. უალაბეგიშვილი
 შარკი შ. ქაქაძისა

მეორე გლ. მართლადაც სისწაულს ახდენს... როგორ დააწყო რაზემები, როგორ ყველას გაუნაწილა და აუხსნასაქმე. . კაცო, ისე იქცევა, თითქოს არა ერთი ომი გამოუცლია და გამოუელია. ხელად გზას ამოარჩევს... ისე დაგარბევს, გგონია ყველა ლოდი და ქვა შესწავლილი აქვსო!..

პირვ. გლ. რა გინდა, აღამიანო, მაგ ქაჯებს კი თავზარი დასცა... ნახე. დილით მთელი ხროვა კლდეზე დაგორა... საშინელება კი იყო!... მკვდრებიც კი საზარელნი იყვნენ!..

მეორე გლ. (მოჭკალებს ხელს, განსეკაყვანს) აღამიანო! ძან ჭკვიანია ე ჩვენი წინამძღოლი, ძან მძლავრი ხსიათი აქვს... ყველა მისი მორჩილი მონაა... თაყვანსასცემენ, ღმერთსავით აღიღებენ...

პირვ. გლ. მერე ღირსი არ არის თუ?.. მართლადაც თაყვან-საცემია.. ვნაცვალე მის მარჯვენას, ერთი კი მიბრძანოს და სიცოცხლეს არ დაგზოვავ.. ბევრი ვეხვეწე, მეც თან გამოგყვები-მეთქი... არა ჰქნა... „შენ შენი რაზმით ტყეში იყავიო, დადგება დრო შეგატყობინებ და მაშინ ევევით მტერსაო“!.. გული დამიღონდა, მოთმინება აღარა მაქვს... (ასმის კაჟინა, ეტუაბა იფაში მიატანეს) იქ გახურებული ბრძოლა, ჩვენ კი აქ უცდით... დალოცვილი, ბარემ გვიბრძანება და ჩვენც აქედ მხრიდან ევევმოდით...

მეორე გლ. თავად კარგად იცის, აღბად აგრევა საკირო... მაგრამ მე მიანც მეშინიან... ვი თუ?.. აღამიანო, დიდება, ძალა, ბატონობა რყენის აღამიანს.. ვი თუ ისევე ის ღლე დავადგეს?..

პირვ. გლ. რაო? კიდევ შენსას გაიძახი?..
მეორე გლ. ამოდენა მსხვერპლი შევსწირეთ და თუ ერთი მტარვალის მაგიერ მორეს მივიღებთ, რად მიინდა ე შენი შანდალი, ეს შენი გამარჯვება?.. მრწამს არსენა გაიმარჯვებს, კოშკს დაანგრევს, შანდალს ხელში ჩაივდებს.. მერე? მაგ ძლიერ აღამიანს სინათლის ძალაც რომ შეემატება, ვინ აღუდგება წინ? რას ჰფიქრობ, რა ღლე დავადგება?.. ვინ რას გაუბედავს?..

პირვ. გლ. სწორედ გითხრა მაგისთანა

აღამიანს ღიდის სიამოვნებით დავემორჩილებო... მაგრამ... (მარჯვენე გამოწნდება მოხუცი შეწისქვილე, ჰატარა ბადღს მოჭყაუს. შარველი და მეორე გლეხი მისკენ გაშეშრებაან) ბიძია, შენ აქ რა გინდა?.. თითქოს წინამძღოლთან იყავი?.. ხომ არა მოხდა რა?.. ლენები ხომ უკან არ აქციეს?..

მეორე გლ. რა ვიცი, სულ კი გამარჯვების ხმა მოგველოდა... (ასმის გამარჯვების კაჟინა) აგერ კიდევ... ეს ჩვენების გამარჯვებაა...

მომხუცი მეწისქვე. ამობოქრებულ ზღვას ვერავინ დააცხრობს და უკან ვერავინ დაახვეინებს ტალღას, თუ თვითონ არ დაცხრა და არ დაიხია... ხალხი იგივე უძლეველი ზღვაა თუ კი ერთსულოვანი და თავგანწირულია... შეკრულს ცოცხს ვერ გასტეგ, თითო წეკბულას კი ადვილად გადაამტეგ ევ.. მა გამარჯვება ჩვენია, სადაც არის სინათლის შუქი მოგვეფინება... მაგრამ ქაბუკი!.. ვაი, შევილო, ჩემო სულო და გულო!..

პირვ. გლ. ვის დასტირი, ბიძია?..

მეორე გლ. ბიძია, ვეშინის... ნუ თუ მართალს ლაპარაკობენ, ვითომ ჩვენს წინამძღოლს ხიფათი მოეღისო?..

პირვ. გლ. თუ კი იმას შეემთხვევა რამე, სულაც არ გვინდა გამარჯვება... ბიძია, სთქვი, გეცოდინება...

მომხუცი მეწისქვე. ლოშს კრავის გული ჩაუღეს... ლომი ევევთა ვეშაპს, დაანგრიო კლდე... მაშამ შეიღს გული გაუპო, განათლდა მთელი ქვეყანა!.. ეხ, ძლიერია განგება!..

პირვ. გლ. რას ამბობ, ბიძია?.. რატო ისე ლაპარაკობ?

მესამე გლ. (გამბრბის. შარველი) აბა უხმე შენს რაზმს და წამომყევით... წინამძღოლი გიბარებს... (მეორე გლეხს) შენ მარჯვნივ გაიქე, ქვეით ხვეში რომ რაზმია დამალული, სწრაფლ აქ მოიყვანე... ჩქარა!.. ავთანდილმა ქაჯთა რაზმს თავისი ჯარი მიაშველა.. გახურებული ბრძოლა!..

პირვ. გლ. (მიბრუნდება მარცხნივ) აბა, ბიქობო, წავიდეთ! (მადის)

მეს. გლ. შენ არ მოდიხარ?... წინამძღოლი გკითხულობდა...

მობუცი მეწისქვე მოვალ, მოვალ ჯერ ჩემი დრო არ დამდგარა... უთხარი წინამძღოლს, დროზედ განდებდათქო. **(მესამე გლეხი** გაფა მარტნივ, **მეორე**—მარჯვნივ. მოსხუბი შეწისქველუ ქეახუდ ჩამოჯდება. ბაღდს) შენ წადი ახლა, შვილო... აქ საშიშია... მე თავად მივაგნებ ადვოსს (ბაღდი გაფა. ოღნავ დაბნულდება, გაიფეკებს... გაოჩნდება სხიფოსანი, ბრწყინვაჯე შექი ადგას)

სხიფოსანი, ხომ გემის, მობუცი, ჩემი ხმა?.. გახსოვდეს: „მამამ შეიღს გული ჯ პო, განათდა მთელი ქვეყანა“... უმანკო სისხლი, მსხვერპლია საქირო!...

მობ. მეწისქვე (მუხლზე დაქცემა) შენ დიდებულო... შენ, შენ უკეთილესო... ცოდვია!... გამანთავისუფლე... ამაციდინე მე... ვერ შევძლებ!...

სხივ, განგებას წინ ვერ აღუდგები... შენს გულში დაგუბებული ტანჯულთა ცრემლი განბანს დანთხელი სისხლს... აღსრულდეს განგების ბრძანება... წადი, წადი და გახსოვდეს: მსხვერპლი უმანკო, მსხვერპლია საქირო!, (დაბნულდება სხიფოსანი გაქრება. შეწისქველუ მიდის. პრძოღის სმუარება მატუ ლაბს, თითქოს სხლოვდება. მარჯვნივ გამოდიან ავთანდილი, თან ასღავს სსხლოუხუცესი და ამაღა)

ავთანდილი, სახლოუხუცესო, ვერ იქნა ვერ იპოვეთ გლახაკი მესტერივ?... სად ჯანაბას გადაიკარგა?... ექვი მქონდა ყოველთვის... იმიტომ გიბრძანე თვალყური ადევნეთ მეთქი... გვიღალატა, გვიღალატა!... რა დროს გაგვანება თავი?..

სახლოუხუცესი, დიდებულო, ისე სწრაფად გაქრა, თითქოს მოჩვენება იყოს... ღალატისა კი რა მოგახსენო... არა მგონია... ჰმეამბოხეთა შორის არა სჩანს, არც არავის უნახავს...

ავთ, ვერც მისი მეომრები აღმოჩნდნენ ხერიანები... გაუწრთენელ ბრბოსაც კი ვერ უმაგრდებიან...

სახლოუ, ბრბოს კარგი მეთური ჰყავს, პირდაპირ სასწაულს ახდენს...

ავთ, მალე მოუვია შენი გული... რაღასა დგებარ, წადი ჰოუხარე თავი გუშინდელს შონა სმოჩილბა გამოუცხადე... მაინც ყველგან ღალატია, შენც ხომ სხვაზე ნაკლები არა

ხარ... (ამაღას) ან თქვენ რას უტლით?... მერ მე გვიანდა იქნება... ნუ გცხენით... წადით, მომშორდით!... თქვენი თვალები ღალატის სარკეა!..

სახლოუხ, ნუ შეურაცხყოფ შენს ერთგულს მონებს... შენთან ეცოცხლობდით, შენ გეშახურებოდით, თუ სიკვდილია—შენთანვე მოვეკვდებით!.. (შემობრბას პირველი კარისკად)

პირ. კარის კაცი, დიდებულო შეფე, უკანა მხარის ვალავანი მტერმა დაიპყრო... ჩვენი რაზმი უკან იხვეს, ვერასა ხდება, მემამბოხეთა რიცხვია რებელია... ზვირთზე ზვირთი როდის, თი შეჩერება შეუძლებელია... თი ნიაღვარი, წალეკავენ ყოველსიფერს...

ავთანდილი შიშისაგან თვალები აგქრელებია... ბუხი სპილოდ გეჩვენება... ენა ამოსაგლეჯი გაქვს და ამოგაგლეჯ კიდეც... უგუნურებო!... ბევრიც რომ ეცაღოს ბრბო, მთლად რომ გასწყვიტოს ჩემი ჯარი, მაინც რკინის კოშკს ვერას ანებებს... ახალი ჯარის შეგროვება ადვილია. კოშკის დანგრევა კი შეუძლებელი... გასწი, უბრძანე ჩემს მაგიერ სპასლარს—მთლად ჩააღას ჯარი და ბრბო უკან აქციოს... (პირველი კარასკადი გაფა. შემობრბის მეორე კარისკად).

ავთანდილი, შენ რაღას იტყვი... კრინტი, ხმა მათი გამარჯვებისა არ იყოს, თორემ დასწყველი დღეს შენის დაბადებისას...

მეორე კარ. კაცი, მეფე, თავს უშეველე!... აქედ მოდის ძლიერი რაზმი მტრისა სადაცაა მოგვადგებიან...

ავთანდილი, დარაჯები რაღას შერგობოდნენ, რატომ დროზე არ შეგვაცყობინებს...

მეორე კარ. კაცი, დარაჯებმა გვიღალატეს...

ავთანდილი, ისევე ღალატი?... სად მოვძებნო ამოდენი საღრჩობელა?..

სახლოუხ, მეფე, ავჭარდით... საშიშია?..

(სწრაფად გაჯდენ. ცოტა ხნის შემდეგ გაშოჯა მეორე ელქი თაფის რახშით)

მეორე გლეხი, აბა, მომყვით... შეუდგეთ კლდეს, ჩვენ აქედან უნდა ვეკვენთ...

აზობდებიან კლდეზე, სოცნი ძირს გორდებიან, უმწაფესობას ცაღაყანს მიუხალოვდება. ბრძოლის სმაურობას და კოჲინას ასლოვდება მარტსნიე, ცაღაყანს და კოშკის შუა გამონღებთან ქაჯთას შუჲის შეომარნი. მათ მისლდეენ ბრძოლათ არსენს და მისი რაზმი, არსენას ვეერდით მისჲედი შეწისქედე, ამოდებუდი ხანჯლით. არსენას რაზმი იმარჯეებს. ამ დრას შეორე გლეხის მასეუდი რაზმი დეტემა კოჲინათ ქაჯთას შეჲის შეომარებს. სრული გამარჯეება. ხაღხი ეტემა კომჲის კარებს, ურტეჲეენ მასეილით, ლოდებით, მაგრამ ვერას ხდებან, ეერიილით. ხაღხტ კლდე მისწედა და რასრასით ქეეით დეჲეჲა... კოშკი უგებედეა).

მოსჲუცი მეწისქე. ვერას ვახლებით (ხაღხის შეჩერდება) შვილო, არსენა .. შიმიყეანე ფოლადის კლიტესთან, მინდა შეეგებო ხელით... (არსენას მიჲეჲეჲე, რა წამს მიუახლოვდებან, მის შეწისქედე დეჲეჲეჲეს არსენას გულში ხანჯლს, შეჲეჲედეებს) ვაიმე შვილო!.. (არსენა ჲერ მიეჲედნობა კლიტეს, შემდეგ მაწახე დეტემა, კვდება. საშინლად დეჲეჲეჲეს, გაეიდეჲა, თითქოს შეხის ჩამოყარდაო. კოშკი ორად გაიყო და კედლები აქედ-იქით გადაინტრა. ბრჲეინჲედე დანათდა. მადლობე კოშკის ადგილას გამონდა სიფოსანი ხელში ანოებუდი ოქრის შანდადი უჲეირაჲეს, თან ასღაყან ფერებო)

მოსჲუცი მეწისქე. გიხილე, გიხილე დიდებულო!.. ვიხილე სინაილე და გამარჯეება!.. აღსრულდა ნება შენი!.. ვაიმე, შვილო, არსენა!.. (წაიქეეჲა, დეჲეჲეჲეჲობა არსენას. კვდება ხაღხი უტბად გაშტერდება. შერე იგრაიდეებს: ჲეჲაშა, ჲეჲეჲეჲეჲის სინაიდეჲს, ჲეჲეჲეჲის თავისუფლებას! ეჲეჲა გაიწეჲეს, მრავალი სელი წაჲეოტინება ოქრის შანდალს. ხაღხი ჩაიგდებს შანდალს ხელში, მაგრამ გარჲეეეით კი არასინს, ვის უჲეირაჲეს იგი ხელში. ჲეჲეჲეჲეჲის სიმღერას და მარში).

ფ ა რ დ ა

„გაგონებულება“



„ფარისეველი კაცი“

(გურული სენა)

ხუთშაბათ დილას, ბატონო, ყანაში ვშუ შაობდი გზის პირზე. გამეიარა ვინცხა კაცმა ცხენით და მკითხა: ივანე ღვდელი სათღვანა, თუ იცო? —რაც არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა!

გევიხედე და ერთი კაცი ღვეინახე ჩვენსკენ მომავალი. ახლა ამ კაცს ჰკითხა ცხენოსანმა. ზისწაყლა გზი, მარა იმისთანა შენს მტერს!.. — ივანე ღვდელი, ბატონო. აა, აგერაა ყურის ძირში.. ეგერ, რომ კონცხო მოჩანა, იმას გასცილდე, კონცხოს იქით ღველეს გასცილდე, ღველეს იქით ოქროს, ოქროს იქით ქენქყოს, ქენქყოს იქით დაადეჲი, იარე ფშუჲა, ფშუჲა და მერე, ვისაც კითხო, ყველე მიგასტავლის ივანე ღვდელთან... — თქვენ ძმი ხომ არ ბრძანდებითო? არაო უთხრა, აბა ბიძიშვილი? არა, ღვიდაშვილი? არა. — აფერი ნათესავი არა ღვდელი თქვენნი? არა, ძმოო, აფერი ნათესავი არა, საქმე მაქ და ნახვა მინდაო, —ხო, ხო, ხო, ხო, რავე გოუხარდება ახლა იმას შენი ნახვაო!.. რომ წამსკია სიცილი, კოლამ გავსკტი ანტონ ბერას გულსავით. ჲერე უთხრა: აგერაა ყურის ძირშიო და ივან რომ აღგილები მოთავლა, კი რვაი ვერსი გამევილოდა, მერე და რა იცოდა, რომ ისე ძან გუუხარდებოდა ღველეს მისი ნახვა, ეგება ავი კაცი საჩხუბრად მივიდოდა, მარა რას იხამ: ასეა ზოგი ფარისეველი კაცი!

რ. ჯიბილა

* * *

ვარდის ფერ ტუჩებს გიკონის სიო, ქირმანის შალი მხარებზე ფრიალებს. — ეშ, ქალო, ქალო, ნეტავ ვიცოდე ღლეა შენი ფერი ვის შესტრფიალებს?..

ნაცნობს თუ უცნობს მოელი ვისმე? ვისზე ოცნობობ დღისით ან ღამე? მოდი ღამაზო, მითხარი, რამე! .

ქნარი



უნტ.-ოფ ალექ
გადახაბაძე.
დაჭრილი იმამლოს ომ-
ში წევს წმ. ნინოს ქა-
ხელობის ლაზარეთში.



ბესარიონ კვაჭაძე
(დაჭრილია)

უნტერ-აფიც. მოსევ ქარცივაძე
(ქაილობისიგან გარდაცვალა)

პრიტიკა აუ გაუგებრობა?

(დასასრლი. იხ. „თ. და ც.“ № 42)

— ბ-ნი ჩიკვაძე სწერს: „აილიო“ კახურს არა ჰგავს, მაგრამ ვტყობა ესეც კარგია... ო... განა ეს არის მემუსიკის მიერ დაწერილი რეცენზია?!.. ეს ხომ კინტოს ჰქეჩიათა: „აიგა ზნაიშ, საესემ ნე პოხოჟა“-ო.

„კარგი იყო წმ. ნინოს ტროპარი, ხოლო ზოგან დაბოლოებები მეექვსე ხმისაც შედიოდა თუმცა არაფერს ახდენდა, მაგრამ რა საქირი იყო“. ბ-ნ ზ. ჩიკვაძისათვის სმენას უღალატნია, როდესაც ვერ შეუტყვია, რომ ბ-ნ ფოცხვერაშვილს წმ. ნინოს ტროპარისათვის მარტო ერთი სამუსიკო ფრაზა აქვს აღებული ჩვეულებრივ მეთოხე ხმის კილოსიგან და ისიც უცვლელად დატოვებული. ამ ერთის ფრაზაზე აქვს ფოცხვერაშვილს აგებული ტროპარი. და ძნელი გასაგებია, რასა სჩივის ბ-ნი ჩიკვაძე?... ასეთივეა მისი მსჯელობა, როდესაც კლენოვსკის „ამერცხალსა“ და „ჩეროს“ ეხება. იგი ბრძანებს: „ამერცხალში ბანები ნახევარი ტონით უმაღლებდნენ... ეს კი პირდაპირ სასაცილო კუროლიზია: ბანები კი არა, დაწყების შემდეგ მთელი გუნდი აღის ნახევარ ტონით აწევით. ეს ასე აქვს დაწერილი თვით კლენოვსკისა და ბ. ჩიკვაძემ კი ბრალი დასდო გუნდს, სიმ-

ღერა წმინდა „ღო“-ზე იწყება და „ღო“ დიეზით თავდება, რაიც ამ სიმღერების განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს.

შემდეგ ბ-ნი ჩიკვაძე ბრძანებს: „დახარ-ჩენ სიმღერებს: „კურჩხა“, „მურმან“ და „ვახტანგ მეფე“ არა უშვდა რა, ხოლო მე ამას ვიტყვი რომ, ამ სუთმეოთცის წდას წინადა კიდე მესმის და ესდა ეს სიმღერება იმდენად ნაცნობი და ჩვეულებრივია, რომ ყველა ამგველ ჩამვლელი მღერის, ყოველ ნადიმსკედ და დღე-სასწაულზე მღერაან და მართლად კარგადან და ამიტომ ეს სიმღერება თუ საკონცერტო პროგრამაში შევა, მაშინ განსაკუთრებით და არა ჩვეულებრივად უნდა იქმნას ასრულებული, რამ ყველამ ვსთქვათ გუგებაში: მართლად ჩვენც ვმღერით, მაგრამ აი თურმე როგორ უნდა ამ სიმღერების ასრულება...“

ბ-ნ ზ. ჩიკვაძე აქაც სცდება, რადე ნ სხენებულ სიმღერებში ხერიან მსმენელისათვის ბევრი ახალია. გარდა ამისა ქართული ხალხური სიმღერების სილიადე სწორედ იმა, შია რომ ძვირფასი მარგალიტივით არას დროს არ მოგწყინდებათ მისი მოსმენა...

ასეთივეა ბ-ნ ჩხიკვაძის მსჯელობა გუნდის შესახებაც: ჩვენ არხანგელსკის წაბაძვა რას გამოგვადგება... აკი იმიტომაც ვხედავთ ჩვენის მუსიკის საქმეს დაქინებულს. არა ვბაძავთ არხანგელსკის მე და თქვენ, ბ-ნო ჩხიკვაძე, და იმიტომაც, რომ არც ერთი ხეირიანი გუნდი არ მოგვეპოვება. და რაც მოგვეპოვება, ისიც უვარგისი, უხმო უმეტესად და ნოტების უტოლინარი. პირიქით ამ მხრივ ჩვენ ბ-ნ ფოცხვერაშვილს დიდ მადლობას ვუძღვნით და გულჩივთ ყველას სწორედ საუკეთესო მაგალითს (არხანგელსკისას) წაბაძოს.

რაც შეეხება „ლილეს“, ბ-ნმა ჩხიკვაძემ კარგად უნდა იცოდეს, ერთი და იგივე ხალხური სიმღერა შეიძლება 10—20 კომპოზიტორმა ჩასწეროს და დაიმუშავოს. ჩხიკვაძე ბრძანებს. „ლილე“, ეს სიმღერა ამ ოცი წლის წინანდ სვანეთში უკიდნის დროს ბ. მელ. ბალანჩივაძემ დასწერა და აქაც რამდენჯერმე მოგვისმენია და არ ვიცი პროგრამაში კ. ფოცხვერაშვილისად რად იუომონათლული? მე ამ სიმღერაში ახალი ვერა გავიგონე რა გუნდისაგან.*)

ესთქვეთ ბალანჩივაძემ ჩასწერა, მაგრამ ფოცხვერაშვილმა ხომ პარმონიზაცია უყო და საუცხოვოდ შეიმუშავა ორკესტრის კონტრ-მელოდით! მეორემხრით კათეგორიულად ვამოწმებთ. რომ „ლილე“ ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა ჩასწერა ნამდვილ სვანებისაგან და მე მგონი თვ ბატვიცმული კომპ. ბ-ნი ფოცხვერაშვილიც დამიამოწმებს ამას.

და განა ცუდია, ერთი და იგივე მელოდია ან სიმღერა ბევრს ექნება დამუშავებულის რუსული „სოავა ნა ნებე“ შეიძლება ერთ? ვისმეს ჩაეწეროს, მაგრამ იგი მრავალ კომპოზიტორს სხვა და სხვა ნაწარად აქვს შეიმუშავებული. ჩაწერა სხვა და სიმღერის შეიმუშავება სხვა. ნუ თუ ეს საინბანო კეშმარიტება ჩვენთვის მყოც საუკუნეში უტნობია?

ნუ თუ სასაყვედუროა ბ-ნი ფოცხვერაშვილი, რომ „ლილე“ ჩასწერა, დაამუშავა, ჭარმონისაგია უყო?

დასასრულ საქიროა აღვნიშნო, რომ რაც უფრო მიუდგომლად, ცოდნით და საქმის სიყვარულით მოპაყრობიან ჩვენს კომპოზიტორთა მუშაობას, მით უმეტეს დიდ სამსახურს გაუწევენ სამშობლო მუსიკის წინსვლას.

რე-მი

*, ხაზი ჩვენი. ავტ.

ქართული სახიობა

კ. ფოცხვერაშვილის მიერ კონცერტი

ხალხის თხოვნით გაიმართა „სახალხო სახლში“, რომელსაც ღიდალი ხალხი დესწრო: კონცერტმა გაცილებით უკად ჩაიარა, კიდრე არტისტ. სხ. დარბაზში კონცერტის დაწყებამდე კ. ფოცხვერაშვილმა წაიკითხა ლექცია „ამირანის“ თემატიური გარჩევა, რომელშიაც განმარტა: როგორ გადაგვარდა ჩვენი მშობლიური მუსიკა, როგორ დასწერა „თქმულნავამ ამირანზე“, რა და რა ნაწილებისაგან შესდგება, მუსიკალურად როგორ გამოითქმის და სხ. კ ფოცხვერაშვილის სიმფონიური პოემა „ბრძოლა ამირანის ბაყბაყ დევთან“, დასდგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ, რომელმაც უხომო აღტაცება გამოიწვია. ცოცხალი სურათები კარგად იყო დადგმული, მაგრამ ამირანის თანამშლებელი მეტად ნახო სხეულის იყენენ: საბალეტო ტრიკოსი და წითელ ზონტებში გამოწყობილი, საჭირო იყო უფრო მეტი ვარეულება, პირველყოფილობა. გუნდმა და ორკესტრმა კ. ფოცხვერაშვილის ლატბარობით მშენებრად აღასრულეს თვით კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებნი: „თქმულნავამ ამირანზე“, „მზის საგალობელი“, „მუმლი მუხასა“ (გამეფორბინეს), „გოგონა“, „გვებუნდ მეფე“, ეს ნამდვილი ქართული ეროვნული მარში და სხ. ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა ან კონცერტით უკვე დაიდალახა რუბიკონი—სძლი ამბოგო-



პოლკოვ. ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილი

ვერანელთა წინააღმდეგ მომქმედ ლაშქრის სარდალი, დაჯილდოვებული გიორგის ხმლით. ორგზის გაიკაწრა მონაწილეობდა რუს-იაპონიის ომში, სარლობდა დაღესტნის პოლკს. იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარჩინების გამო დაჯილდოვებულ იქნა გიორგის მე-4-ე ხარისხის ჯვრით.

ლებანი და ხალხის უსომო მადლობაც დაიმსახურა; ერთმა კაცმა შესძლო ის, რის შესრულებაც დღემდე ქართ. ფილ. საზ. ვერ მოუხერხებია: „ერთუნულ ქმუნიკას გზა გაუხსნა ხალხისკენ, ხალხი თავის სამშობლო ზემეს ახიარა ..

კომპოზიტორ-ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი დიდძალმა ხალხმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა, აგრეთვე გამოიხმეს ალ. წუწუნავა. **უსაპნო**

სახალხო სახლი სახ წარმ. მმართ. წრის სკენის მოყვარეთ ორშაბათს, 22 ქრისტეშობისთვის ამ სეზონში განმეორებით წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის დრამა „გამეკეში“.

ქუთაისის თეატრში 11 ქრისტ. ე. გუნეის საბუნეფოსოდ წარმოდგენილ იქმნა „მეფე ლირი“. რასაკვირველია უმთავრეს როლს მობენეფის ასრულებდა ვერვიტყეით, ამ როლში ბ. გუნია შეუდარებელი იყო, მაგრამ საერთო სახე, რომელიც უმთავრესია ყოველთვის, კარგი იყო. აქა-იქ კი საუცხოვოც. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც იგი ამბობს: „აღად, მეფე ვარ, მეფე თავით ფეხამდე“, უნაკლებად ჩაატარა. არა უშვდა რა იმ სცენასაც, სადაც უბედური მოხუცი, თავის საყვარელს ასულის ცხედარს დასტერის: უნევემო, სასოწარკვეთილი, უშწო, მუწუხაბებისაგან გაუბედურებული ლირი. აქ საქმაოდ ძლიერი იყო. სრული განხარცილება იყო საინოებისა, მამისადმი უსახლოვო სიყვარულის, ერთგულობის ქ ბ დავითაშვილის ასული როლის მესამე ქალოშვილის როლში. გრამი, ტანისამოსი, მიმიკა ყოველის მხრით უნაკლებო. ასეთ როლებში ქუთაისის სცენაზე ჩვენი მსახიობი ქალი შეუდარებელია. ბ. გელოვანმა (ელგარი) სავსებით ვერ სძლია თვისი როლი, მაგრამ არც გააფუტა, არ უშვდა რა ბ მურუსიძეს: ცოტა სიდიადე აქვდა და თვალმეს ძალზე აბრიალებდა. უფერულად ჩაატარა მმასთან (ელგართან) შეტაკების სცენა: სწორედ აქ უნდა გამოეჩინა თვისი ძალიან უნაკლებო იყო ბ. შალიკაშვილი: კენტის როლში: „პ პიტიოსანი, მეღვარე, მეფისა“ - სამართლიანობადავის თავდადებული პიროვნება ჩვეულებრივის დაჯილდოვებისა ცოდნით ჩაატარა. მას მხარს უმშვენივლა ბ. გელოვან (ხუმარა) თვისი შეგნებულ თამაშით, როლიან საჯილდო ცოდნით და შესაფერისავე გრამით. მთავარად: „ქალონიშვილიც მთავრის როლში“, თემცა ასედა: „ქალონიშვილის მას გარეგნობა ვერ უწყობს ხელს.

ხალხი საკვარისი დაესწრო და მომენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

შაბათს, 13 ქრისტეშობისთვის, ეკატ. აბაშიძე ერისთავის საბუნეფოსოდ „კარდინალი რომელი“, რომელიც პიესის სახელიდანაც სწინა, უმთავრესი პიროვნება ამ პიესაში რომელიცა კარდინალი რომელიც გამოყვანილია ამ ნაწარმოებში, როგორც ძლიერ გამჭრიახი, გასაცარი პოლიტიკოსი, ხან მრისხნე და ხან კი ლომბიერი, სამშობლოსათვის თავდადებული, ლომი

და მელა (საქა საქირთა) ერთად შეერთებული. იგი ისტორიულადაც ჰქონისი, პიესაშიც ჰქონისად დარჩა. რასაკვირველია ამ როლის ამსრულებელი ჩვენს სცენაზე მხოლოდ ერთი მსახიობია, ბ. ლდო და რომლის როლს ასუცხოვოდ ასრულებდა. მისი განუყრელი მორჩილი ისუტე დომენიკელი, რომელიც მუდამ ემხრობოზობას მოელის და მაინც ვერ ეღიროსა, რომელიც შიშით კრთის კარდინალის წინაშე, მუდამ მოხრილი, მუდამ მდაბალი, ძლიერის ფრთის ქვეშ მყუდრო ბინის ემებს. ბ. შალიკაშვილმა ზედმიწევნით დაეცხატა. გრამი, როგორც რომელიც, ისე იოსებსაც, განსაკუთრებით პირველს, გასაცარიის ხელოვნებით გაეკეთებინა. არა უშვდა ბ. თუხარელს ლიუდვიკოს მეXIII როლში. მხოლოდ არა მგინა საფრანგეთის მეფეს ასეთი არა მის ტანზე შეკვირილი ტანისამოსი სცმოდეს. ბ. ციციშვილი თითქმის ყოველთვის წარჩინებულია როლში გამოდის. ამ დღესაც ჰერცოგ ორლანდის ტყავში გეჭვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსახიობისათვის ძლიერ უცხო გამოდგა. გრამდ დე-ბარადასი ბ. მურუსიძეს ხელში არ იყო მაინც და მაინც ცუდი. კარდინალის დაუძინებელი მტერი, პატივმოყვარე, გაიძვრა და თან კარდინალთან შედარებით მართელობის უმეცარი, პირადი ინტერესების თავყანისმცემელი—ასეთი იყო ბ. მურუსიძეც. მაგრამ ხმა, ხმა.. ძლიერ უშლის ხელს. ბ. გელოვანმა დემეოგენდის როლი სრ თუ ისე კარგად ჩაატარა, განსაკუთრებით ის სცენა, სადაც იგი მეფის ბრძანებით არ სტოვეებს ერთად ახლად დაქორწინებულ კავალერ დე-მაროს და იულოა დემორტიმუსს. ეს სცენა მართლაც მკაფიოა და ცოცხალი იყო. დანარჩენ მოქმედებაში ბ. გელოვანი კონტად დადიოდა ბ. ტომანელი დე-მაროს როლში ძლიერ უფერული იყო. ძლიერ არგი იყო ბ. ფრანგიშვილი გარნიეს როლში. როლი ხომ ყოველთვის იცის ამ მსახიობმა და ასრულებით—პირნალოდ ასრულა თავისი როლი. ქ. დავითაშვილი მეტად მშვენიერ იყო იულოის როლში, როგორც გარეგნობით, ისე ასრულებით საუცხოვოდ ჩაატარა თვისი ლამაზი. ძლიერ მკვირცხლად და გრამობიერად ჩაატარა ბ. გვარამია ახალგაზდა ფრანსუას როლი. მხოლოდ არ შეგვიძლია არ შევნიშოთ, ბ. გელოვანის არ იყოს, რომ ყოველთვის ერთნაირად დადის სცენაზე. დანარჩენებზე არას ვიტყვი, რადგან მათი როლები სასხვათაშორისონი იყვნენ. მასთერი სტენგეო ცუტლად ჩაატარეს და პიესაც კარგად იყო დადგმული.

მომენეფისეს დიდი ოვაციები გაუმართეს. აურაბელი საჩუქარიც მიართვეს და თან თეატრიც გაქდილი იყო ხალხით. არც ერთ ბუნეფისს დღემდე აღმნი ხალხი არ დასწრებია.

L. a. m.

მუსუღამინთა აუდიტორიაში ხარფუხში გასულ შაბათს სკენის მოყვარეთგან წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა ვანო გიგოშვილისა „შურის ძიება“. ხალხი ბლომად დაესწრო.

შორაპანში 14 ამ თვეს გაიმართა წარმოდგენა: ქართულად სოფიო, რუსულად „კარგად შეკერილი აფრადი“; 3, ცოცხალი სურათები; 4, რისთვის (3ა 4ტ)? და ბოლოს ცეკვა. წარმოდგენაში მონაწილეობდა ადგილობრივ შემდგარი სცენის მოყვარეთა ეკლეთა თავიანთი როლები თითქმის ყველამ კარგად იცოდა, ამიტომაც წარმოდგენამ გვარანაღ ჩაიარა. ხალხი ბლომთ დაესწრო და ნასიამოვნებაც დაიწალა. შემოსავალი, რაოდენიმე პროცენტის გამოკლებით, გადაიღო მეობართა სასარგებლოდ. წარმოდგენაში თავი ისახულა სიმ. კონ. ძამაძემ და სხ. ქალ-ვაჟთ. ყველა მონაწილენი მადლობის ღრსნი არიან. ახლო მამავალში—აპირებენ „და-ძის“ დადგამს.

პანის 6-ლული

ნოქარათა კლუბში ხაშთრის სეზონის დასაწყებად 18 ქრისტ. გაიმართა პირველი ინტერნაციონალური საღამო-წარმოდგენა. დადგა სამი თითო ბოქმედიანი პიესა: ქართულად („რაიკ არ მერგება—არ შემერგება“), სომხურად და რუსულად. მონაწილეობდნენ ვ. აბაშიძე (რეჟისორობდა კიდეც). ელ. ჩერქეზიშვილი, გ. გედევანოვი (სომხურს რეჟისორობდა), რ. ჯიბლაძე, კუზაოვი და სხ. საზოგადოება ბლომად დაესწრო. განზრახულია დრო გამოუყვებით მართონ წარმოდგენები.



წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

სადღესასწაულო წარმოდგენას ჰპართავს ქართ. მსახიობთა ამზანაკობა 2 იანვარს. დაიდგმის გ. ერისთავის „გაყრა“, 1 მოქ. და ალ. ყაზბეგის „არსენა“, დრ. 3 მოქ.

ქართ. თეატრის ფონდის სასარგებლოდ შეშოსწორებს 1) ვანო გიგოვიკობა 4 მ. 65 კ., რომელიც დარჩა 20 ქრისტ. მუსულმანთა აუდიტორიაში დადგმულ საკუთარი პიესის შემოსავლიდან. (მთელი შემოსავალი იყო 49 მ. 80., გავაგლი—45 მ. და 15 კ.); 2) არილი გიორგაძემ 5. 15 კ., მისგანვე შეკრებული: **აბათი შაური**: ს. მანგილიძემ, ნინო შაქარაშვილისამ. ს. ხრამელაშვილმა, იმან ჩუბინიძემ, მაქსიმე ჩიგოჯიძემ; **მძეს-მძესნი შაური**: გალაქ ბუბუშვილმა, გ. ვაგნიძემ; **თითო აბაჯი**: ა. ხოსროშვილმა, ივ. დონაძემ, გუმბარტოვმა, ლ. ბებრაძემ, ე. მგალობლიშვილმა, **ორული შაური**: დეგ. ბაქრაძემ, გ. ჯანაშვილმა, ვანოზიანცმა—25 კ.

ახალი სომარხათო გახვით „შადრამანი“-ს პირველი ნომერი გამოვიდა გასულ ორშაბათს, 22 ქრისტ. ნომერი შედგენილია შინაარსიანად, საგულისხმო წერილებით. სახვალთა ნომერი დღეს საღამოთი გამოვა.

ბაქოში დღეს გაიმართება ელო ანდრონიკაშვილის საბუნებისო წარმოდგენა. დაიდგმის ან. ერი-

ს თავ—ხოშტარის მოთხრობიდან გადმოკეთებული ესა კედლის ტრალიო“.

წ. კ. ს. სახვალბოშის მამამოპაი გასულ რას საზოგადო კრებამ აირჩია; თავმჯდომარე მ. ნ. ბეგი, წევრებად: დ. გ. კარიკაშვილი, შ. ხ. დედაშვილი, ლ. გ. ბოცკაძე, გ. ს. რხილაძე, გ. ნ. ლ. ხიშვილი, ი. გიორგობაძე, ნინო ნაკაშიძე, 3 კიკელიშვილი, კ. ნინიძე, ი. ვართაგავა, გ. ცინცაძე და ე. მუსხელიშვილი, კანდიდატებად: თ. კიკვაძე, ა. თ. ყოფშიძე, ნინო რხილაძე, ა. რ. ჯაჯანაშვილი; სარევიზიკომისიის წევრებად: ა. ს. ლულაძე, დ. მ. ლუმბაძე, ე. ავალიშვილი და ა. ბებურიშვილი.

ქურ. „თეატრ და ცხოვრება“ გაუქარის მთელის წლით თავისი ხარჯით. 1) ბელგორის სამკითხველს შალვა ნიკოლიაშვილმა; 2, რუსთველის სახელობის სამკითხველს ქუთაისში ალ. გარსევანიშვილმა.

ღვ კილოსანიძემ დასწერა ახალი მოთხრობა „ღმერთები გვეყალობენ“, ძველ ბერძენთა ცხოვრებიდან. აეტრის განუზრახავს ძველ ქვეყნების ცხოვრებიდან რამდენიმე მოთხრობა დასწეროს. ჭერთი ასეთი მოთხრობათაგანი—„ღლი ქუთუმის მწერალი“ უკვე იბეჭდება „ნაკალღში“.

რადეპციონსაზან ქურნალი უფსოღ არავის გაეგზავნება.

რუსთა შორის

თხითნასაჴამი მჴარალი პიმენ კარპოვი სამართალში მისცეს, საკუთარი რომანის „Планин“-ის გამოცემისათვის. ბრალს სდებდნენ სასჯ. დგმ. 75 მუხ 2 ნაწ. (ღვთის გმობა) და 1001 მუხ. (პორნოგრაფია) ძალით. პიმენი უმიწა-წყლო გლეხის შვილია, 16 წლამდე ან ბანიკ არ იცოდა და სოფელში მწყემსობდა. ჰაბუი გაიტაცა მისტიურმა პირეკილებამ, სექტანტება დაუახლოვდა, ფენით წვიდა ჰქაჯალქ და თვითგანითარებას შეუდგა. თვის რომანში აღწერს სხვა და სხვა სექტებს. პირველ ხანად 129 მუხ. ძალით უნდა გავსამართლებინათ, მაგრამ ბოლოს ბრალდების მუსლები შეუცკალეს და როგორც იყო 18 გიორგობისთვის დაწინშეს საქმე გასარჩევლად, რადგან მართლ მადიდებელ ნაფიც მსაჯულთა სრული კრება ვერ შეადგინეს. გასამართლების დღეს პიმენმა მსაჯულთ დაწერილებით უამბო მთელი თვისი ცხოვრება და მოუთხრო ძიებანი თვისნი. თავმჯდომარემ მოინდომა საქმის ხელახლად გადადგმა ნამუხე ძალით ბრალდებულის შესამოწმებლად—კვამუხე შერეული ხომ არ არისო. ბრალდებულ და ექვითი წინ აღუდგენ, მაგრამ მაინც საქმე გადიღო მეორედ გასარჩევად ნაფიც მსაჯულთა ხმის უმეტესობით.

წ. დ. მსხროვსკის სახვლოცის თეატრის შესაკმეწლად, უმაღლესი ნებართვით 1915 წ. 14 მაისიდან მთელ რუსეთში, ხელის მოწერით, ფულის მწეროვებას შეუდგებიან. თეატრი მოსკოვში აშენდება.

391 P
1914